საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №919
2023 წლის 11 ივლისი

ქ. თბილისი

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2023 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 10 იანვრის №886 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2023 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 10 იანვრის №886 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10/01/2023, სარეგისტრაციო კოდი: 170000000.22.027.017376) დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2023 წელს

სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2023 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა	შენიშვნა
1	ქალაქი ბათუმი	1	
2	დაბა ჩაქვი	1	
3	სოფელი გეგუთი	1	
4	დაბა ბაკურიანი	1	მაღალმთიანი დასახლება
5	ქალაქი ახალქალაქი	1	მაღალმთიანი დასახლება“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**